

პროექტის აღწერა და მიზნები:

პროექტის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (ევრობანკი) გამოყოფს 120 მილიონ აშშ დოლარამდე საკრედიტო რესურსს საქართველოში საშუალო სიმძლავრის განახლებადი ენერჯის პროექტების დაფინანსებისთვის. დასაფინანსებელი ქვე-პროექტების სიმძლავრის ზედა და ქვედა ზღვარი არ არის განსაზღვრული, თუმცა, უპირატესობა მიენიჭება პროექტებს 10-დან 60-მდე მეგავატის ფარგლებში. სავარაუდოდ, დასაფინანსებელი პროექტების უმრავლესობა იქნება საშუალო ზომის ჰიდროელექტროსადგურები, მაგრამ ასევე განიხილება სხვა განახლებადი ენერჯის წყაროების, მაგალითად, ქარის ელექტროსადგურების დაფინანსებისა და ქვეყანაში მზის ენერჯის გამოყენების საკითხები.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მთავრობის სტრატეგიას წახალისოს ნახშირორჟანგის დაბალი მოხმარება, უზრუნველყოს ზამთრის სეზონში საწვავზე გაზრდილი მოთხოვნილების დაკმაყოფილება და მხარი დაუჭიროს კერძო საკუთრებას ენერჯეტიკის სექტორში.

ეკონომიკური გარდაქმნის ეფექტი:

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების მშენებლობის წახალისებას და საქართველოს განახლებადი ენერჯის წყაროების დივერსიფიცირებას ისე, რომ მოიცვას ქარისა და მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურებიც. გორის ქარის ელექტროსადგური, რომელიც ქარის ენერჯიაზე მომუშავე პირველი ელექტროსადგურია საქართველოში, პირველი პროექტია ამ ინიციატივის ფარგლებში. ამავდროულად, ტექნიკური დახმარების პროგრამის მეშვეობით, აღნიშნული ინიციატივა დაეხმარება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ქვეყნის მზის

---

რესურსების შეფასებაში.

განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე ელექტროსადგურების შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა ელექტროენერჯის რეგიონალური ვაჭრობის პირობების გაუმჯობესება. სავაჭრო პროცესისა და ფასწარმოქმნის გამჭვირვალობის უზრუნველყოფით, აღნიშნული ინიციატივა სარგებელს მოუტანს განახლებადი ენერჯის წყაროებზე მომუშავე სადგურების არსებულ და ახალ ოპერატორებს. პროექტის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ხელი შეუწყოს საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და ელექტროსისტემის კომერციულ ოპერატორს ("ESCO") ელექტროენერჯის რეგიონალური ვაჭრობის განვითარებაში.

პროექტის ფარგლებში, სავარაუდოდ, გაიზრდება კერძო საკუთრებაში მყოფი ელექტროსადგურების წილი საქართველოში, სადაც, არსებული მდგომარეობით, შიდა ელექტროენერჯის 45% გამოიმუშავდება სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი ელექტროსადგურების მიერ. პროექტის სამიზნე აუდიტორია, ძირითადად, კერძო სექტორია. პროექტის მიზანია შექმნას ლიბერალური სავაჭრო გარემო ახალი კერძო მესაკუთრეობის შემოყვანითა და არსებულების გაფართოების ხელშეწყობით. ევრობანკი ითანამშრომლებს სახელმწიფო მფლობელობაში მყოფ კომპანიებთან მხოლოდ შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:

ა) კერძო სექტორის მხრიდან ინტერესის არარსებობა

ბ) თუკი სახელმწიფო კომპანია იმუშავეს იმავე კონკურენტულ გარემოში, რომელშიაც კერძო საკუთრებაში მყოფი კომპანიები.

პროექტები, გამოცდილი ინვესტორების თაოსნობით, ხელს შეუწყობს საქართველოს ენერჯეტიკის სექტორში პროექტის მართვისა და განხორციელების თანამედროვე

---

---

მიდგომებისა და უნარ-ჩვევების დანერგვას.

---

კლიენტი:

კლიენტები იქნებიან ადგილობრივი და საერთაშორისო კერძო ინვესტორები და, გამონაკლის შემთხვევებში, სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიები, რომლებიც ახდენენ ინვესტირებას საქართველოში განახლებადი ენერჯის წყაროების მშენებლობაში. სავარაუდოდ, კლიენტების უმრავლესობა წარმოადგენს კერძო სექტორს, ხოლო სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი კომპანიების დაფინანსების საკითხი განიხილება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში.

---

ევრობანკის დაფინანსება:

გარდა საკუთარი რესურსებიდან 120 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფისა, ევრობანკი განიხილავს მსესხებლებისთვის დაახლოებით იგივე ოდენობის თანხის მობილიზებას პირველი რიგის A/B სინდიცირებული ან პარალელური კრედიტის მეშვეობით.

---

პროექტის ღირებულება:

350 მილიონი აშშ დოლარი

---

გარემოსდაცვითი ეფექტი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის 2014 წლის გარემოს დაცვითი და სოციალური პოლიტიკის მიხედვით, თვითონ ინიციატივას არ გააჩნია კატეგორია, თუმცა, ყველა პროექტს აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში მიენიჭება შესაბამისი კატეგორია, საჭიროების შემთხვევაში, გარემოსდაცვითი და სოციალური შემოწმების ან გარემოსდაცვითი და სოციალური შესწავლის შემდეგ.

ყველა შემთხვევაში, თითოეული პროექტისთვის შემუშავებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, არატექნიკური რეზიუმე და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის

---

---

გეგმა. გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შედგება თითოეული კლიენტის მიერ. ევრობანკი შეამოწმებს კლიენტის მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმისა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის განხორციელებას ყოველწლიური ანგარიშებისა და ადგილზე მონიტორინგის მეშვეობით.

---

ტექნიკური  
თანამშრომლობა

ტექნიკური დახმარება გამოიყოფა შემდეგი მიზნებისათვის:

- 1) მზის რესურსების შესწავლა საქართველოში;
  - 2) ელექტროენერჯის რეგიონალური ვაჭრობისთვის საჭირო პლატფორმის შექმნა საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და ელექტროსისტემის კომერციული ოპერატორისათვის ("ESCO")
- 

ბიზნეს შესაძლებლობები :

ბიზნეს-შესაძლებლობებსა და შესყიდვების პროცესზე ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ პირდაპირ კლიენტებს.

---

ზოგადი ინფორმაცია:

პროექტებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე , გარდა შესყიდვების პროცესზე არსებული შეკითხვებისა, ინფორმაციის მისაღებად, გთხოვთ, დაუკავშირდეთ ევრობანკს:  
ტელ: +44 20 7338 7168;  
ფაქსი: +44 20 7338 7380  
Email: [projectenquiries@ebrd.com](mailto:projectenquiries@ebrd.com)

---

პოლიტიკა ინფორმაციის  
საჯაროობის შესახებ (PIP)

ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკა აწესებს ევრობანკის მიერ ინფორმაციის გაცემისა და აქციონერებთან კონსულტაციების მექანიზმებს, რომლებიც ხელს შეუწყობს ევრობანკის სტრატეგიის, პოლიტიკისა და ფუნქციონირების შესახებ ცნობიერების ამაღლებას.

---

	<p>ინფორმაციის საჯაროობის პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია, გთხოვთ, იხილოთ შემდეგ ბმულზე:  <a href="http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm">http://www.ebrd.com/about/policies/pip/index.htm</a></p>
<p><b>პროექტის გასაჩივრების მექანიზმი (PCM)</b></p>	<p>ცალკეული პირების ან ორგანიზაციების მიერ ევრობანკის დაფინანსებულ პროექტებთან დაკავშირებით წარმოდგენილი საჩივრების დამოუკიდებელი განხილვის შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, ევრობანკმა შეიმუშავა პროექტის გასაჩივრების მექანიზმი. მექანიზმი აქტიურდება, თუკი არსებობს ვარაუდი უკვე დამდგარი ან შესაძლო ზიანის შესახებ. პროექტის გასაჩივრების მექანიზმის წესებისა და პროცედურების გასაცნობად, გთხოვთ, იხილოთ შემდეგი ბმული:  <a href="http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf">http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/pcm.pdf</a> ,</p> <p>რუსული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:  <a href="http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf">http://www.ebrd.com/about/integrity/irm/about/PCMRulesRussian.pdf</a></p> <p>ნებისმიერი საჩივარი, პროექტის გასაჩივრების მექანიზმის ფარგლებში, წარმოდგენილი უნდა იქნეს განსახილველად ევრობანკის მიერ ფინანსური რესურსების გამოყოფიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში. თუკი გსურთ გადაამოწმოთ თქვენი საჩივრის დაშვებადობა, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ პროექტის გასაჩივრების მექანიზმის პასუხისმგებელ პირს (<a href="mailto:pcm@ebrd.com">pcm@ebrd.com</a>) ან დახმარებისათვის მიმართოთ ევრობანკის ადგილობრივ წარმომადგენლობას.</p>